


ნახ. ზ. დვინაძის



— ახლანი ხანია ჩხუბობან და მიინს ვარ გავიგია, დედამ გავა-
ფუჭა, მამამ; თუ — გავიგა?

მეგობრული შარში ზ. შირსაღვანი



მერაბ ბატონო — ზენა ავტორო გენიალური ქანდაკებების — ამ ლექსით თავზე შემოგვევლები, გადაგვევები და გადაგვევები!

პორტრეტისტი და სკულპტორი, გრაფიკოსი და ფერმწერი — უწყვეტი „წვით და წამებით“ ტიტანურ შრომას ეწევი! მარმარილოშიც, ქალაღღზეც, ტილოზეცა და ქვაშიაც აცოცხლებ აწმყო-წარსულის სიხარულს, ტკივილს, ხვაშიადს!.. ავთანდილივით ბრძენი ხარ, გამხარებელი თვალისა: „საროსა მჭობი ნაზარდი, მსგავსი მზისა და მთვარისა!“

მოსკოვს შვენის, მერაბ, შენი ქანდაკება „რუსთაველი“, — ბრინჯაოშიც რომ მეტყველებს ოქროქართულ უკვდავ ენით! „საწუთროსგან მწარედ ნატანჯს“, „ნაშვილები წიგნით“ ხელში, — შენს ღვთაებრივ „გურამიშვილს“, — მწუხარების აღნობს ცეცხლი..

„ბრწყინვალევენ „გორგასალი“ და „ქართველი ქალი“ ნაზი, მუქი ადგათ „მარჯანიშვილს“, „ვაჟასა“ და „ფალიაშვილს“! ვკვრეტ შენს ხანჯალდაუხარჯავ, ამხედრებულ „სააკაძეს“ — მწუხარს დაჭრილ სამშობლოზე, თავმოკვეთილ პაატაზე. შავი ზღვიდან ამოსული ჯაღოსნური „მედეათი“ მე ქართველი ქალის სული კიდევ უფრო მედიადა! ხარ დიდოსტატი საჭრეთლის — „ცით ჩამოსული სვეტადა!“ „კიდევაც დაიზრდებიან!..“ ქართულ მიწაზე ღმერთად დგას! ცრემლებს ქვებსაც აფრქვევინებს „ჯარისკაცის მამის“ სვედა!.. ამ მწუხარე მონუმენტმა სული, გული დამისეტყვა!.. პლასტიკის დიდო პოეტო და მონუმენტის მინდიავ, როდესაც მუზა არ მომდის, მე შენს „მუხასთან“ მივდივარ!

შენმა მქუხარე სახელმა მსოფლიო შემოიარა! ჩქარა ქუთაისის ანთებ დიდების მემორიალით! სოჭში აღმართავ „მშვიდობას“! (მზე — გარეთაც და მზე — შინაც!) თბილისში ააღლვარებ „ბოროტსა სძლია კეთილმან!..“ მხიბლავს შენი ნაწერების მშვენიერი წიგნიც — „ზარი“ (ძლივს ვიყიდე ერთი ცალი! — გავარღვიე რიგი ძალით!)



ქართული მარადისობის წმინდა ნათელი გეფინოს! უპირველესო რაინდო, ბოროტის მძლევო კეთილო! აღფრთოვანების თოვა ხარ! — არც ნაკლები და არც მეტი! სამოცი წლისამ, ვთხოვ, აღარ გამომაპრო ბანკეტი!

ზაურ ბოლქვაძე




ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახ. ზ. დინსაძესა



„კუდი აქვს სხვენზე,
სასაცილოა და მატრბაზი,
კაცი უდირსო ცალი აბაზი,
პოზიორობსო, როგორც ჯამბაზი...“
და შესაშური გულმოდგინებით,
ისე აგიკლეს ლანძღვა-გინებით...
თან ისე ნამდვილს, თან ისე მდბაღლს
ყვებოდნენ შენზე გადამხდარ ამბავს:
რომ ევთიზმმა და კარიერამ
სამუდამყამოდ, არწამიერად,
ჩაგავლო სულში ბასრი ბრჭყალები
და მლიქვნელობის აყვავა ჭვალეები.

ჯულიეტა მილიანი



უსიტყვოდ

გრილობის ექსპერიმენტი

თანამედროვე მეცნიერება, ფართო გაგებით, მთლიანად ექსპერიმენტებზეა დამყარებული. ექსპერიმენტით ზუსტდება ფსიქოლოგიურ, სოციოლოგიურ, ბიოლოგიურ, გეოლოგიურ, ფიზიკურ, ქიმიური ჰიპოთეზები, ვარაუდები, მოსაზრებები და ა. შ.

მეცნიერული აღმოჩენის დაუოკებელმა სურვილმა — თუ რა დონით განისაზღვრება ზოგიერთი ავტოინსპექტორის ელემენტარული ზრდილობის დონე, მიბიძგა ამ ექსპერიმენტზე. ჰოდა...

შეგნებულად გავიარე ყვითელ სინათლეზე.

ყურთწამლები სასტვენის ხმას, მანქანის ბორბლების ყურის წამკვეთი ჭრიალი მოჰყვა.

ექსპერიმენტი დაიწყო!

ახალგაზრდა ავტოინსპექტორმა მოსალმება არც იკადრა.

— წითელ შუქზე რატომ გამოხვედი?! — ისეთი ტონით მკითხა, რომ სულთან დაე აღ-მაქანის ვაზირთუხუცესს დანდანასაც კი შეშურდებოდა. — ბრმა ხარ, ამხელა კაცი?!

— როგორ გეკადრებათ, ბატონო, უსინათლო არ გახლავარ, უფროსო, მე

ჯერ პლუს ერთიც არა მაქვს... ვერ დავინახე, პატივცემულო, — ისეთი ჟღერტულით მიფუგე, რომ თვით პედაგოგიკის კორიფეები ეან-ეაკ რუსო და იანამოს კომენსკიც კი მომიწონებდნენ.

— შტერია, ან დეფექტური... ფერებს ვერ არჩევს, — თავისთვის ჩაილაპარაკა მეორე ავტოინსპექტორმა, რომელიც მართლა ექსპერიმენტისათვის განწირული ცხოველივით მაკვირდებოდა.

— მოდინარ, არც იყურები, მეკამათები, საბუთების ჩვენებას არ კადრულობ! — რობოტივით განსაზღვრული პროგრამით განაგრძო პირველმა.

— როგორ გეკადრებათ, ბატონო, მე თქვენთან შემოკამათებას რატომ გავბედავ?.. თქვენ ისეთი კეთილშობილი ბრძანდებით... აი, ინებეთ ჩემი საბუთები...

— აი, ასე! და მორჩი ლაპარაკს!

— პატივცემულო ინსპექტორო, როცა თქვენ და თქვენს თანამშრომელს მოვალეობის შესრულების დროს ზრდილობიანად, ესე იგი, ზრდილობით ფორმებში ველაპარაკებთან, იქნებ თქვენც ინებოთ და ასევე გამცეთ პასუხი...

მათ მრავალმნიშვნელოვნად გადახედეს ერთმანეთს.

— ოჰო! — გაიოცა პირველმა.

— მთლად შტერი არ უნდა იყოს! — დიაგნოზი დამისვა მეორემ.

მე უკვე მაფიწყდებოდა პედაგოგიკის ყველა კორიფე და ზრდილობითი ფორმების უკანასკნელი კატეგორიებით ვაპირებდი ყვირილს, რომ ორივემ ზურგი შემაქცია... მხოლოდ პირველმა მათგანმა ოდნავ მოიქცია კისერი და სიტყვა მხარმილმა გადმომიგდო:

— ხვალ ინსპექციაში მობრძანდები და იქ მოვილაპარაკებთ... „ზრდილობით ფორმებში!“



— გასაგებია, ამხანაგო? — ტუჩი ნიჩაბივით ამკრა მეორემ.

—:—:—

ექვსი თვით მანქანის მართვის უფლება ჩამომერთვა — „მთვრალ მდგომარეობაში ავტომანქანის მართვის გამო“.

ექსპერიმენტი ჩაფლავდა.

ტელე ეკრანამე





იბაკ-აბარაძე

იაკონუხი სიბიძნე

- ვინც ფევილს იპარავს, იმას გაფევილუკი ტანსაცმელი აცვია.
- მხდალი კაცი საშიშია.
- ტალახს როცა უტყუაუნებ, შხეფები გზვდება.
- დამარცხებული გენერალი ბრძოლებს აღარ იხსენებს.
- ვისაც ჭგონია, მდინარის სიღრმე იცის, სწორედ ის იხრჩობა შიგ.
- საჭე პატარაა, მაგრამ დიდ გემს მართავს.
- როგორც არ უნდა ეცადო, რაც შეგიძლია იმაზე მეტს ვერ გააკეთებ.
- ტყვიანი კაცის გადაშტერება ისე საშიში არ არის, როგორც სულელია.
- ნუ ენდობი მას, ვინც ხშირად საჩუქრებს გიძლევს.
- ათასი ლეიბიც რომ იჭონდეს, მაინც ერთზე უნდა დაიძინო.
- ეგოისტი სულ უკმაყოფილოა.

თარგმან სტანისლავ რაპინსკი

წყაღი აჩხუბსაყაღი აზრები

- ბუნებას არა მარტო მოაქვს, გააქვს კიდევაც თავისი!
- ზოგიერთისთვის ეს სოფელი ვარდისფერია, ზოგისთვის კი — ფულისფერი.
- ალესილი სიტყვით მოჭრილი თავი ზღაპარშია ც აღარ ამოდის.
- რა არის კაცობა? ყველაფერი, რასაც ბაზარში გასატანად ვერ გაიმეტებ!

ზაზა კაციაშვილი

ორიბინალური აზრები

- მოზრდილიც შეიძლება უზრდელი იყოს.
- ღობი პერანგში არ დაიძალდება.
- საკუთარ ქალარასაც სჭირდება პატივისცემა.
- „უმიტროსმა“ უფროსს აჯიკა მიაწოდა, თუ მჭამ, გემრიელად მაინც შემჭამეო!

ნიკოლოზ იოსებაძე

ფრაზები

- ატესტატი იშვიათად მოწმობს მისი მფლობელის სიმწიფეს.
- სიტყვის კაცი იყო და საქმისათვის არ ეცალა.
- კინომოგზაურთა კლუბი გვაახლოებს შორეულ ქვეყნებთან და გვაშორებს ახლო მეზობლებსაგან.
- ზოგ მანდილოსანს კდემამოსილება აღამაზებს, ზოგს — კოსმეტიკა.
- ზოგჯერ უგულო ადამიანებსაც აწუხებთ გული.

კეთანდილ ქიქოძე

თბილისში, ვაჟა-ფშაველას 17 ნომერში, მერვე სართულსა და ნოტარიუსის კანტორის ოთახში თავი მოეყარა ოცამდე სხვადასხვა ასაკისა და სქესის მოქალაქეს.

— მე ბატონო, მამლის პირველ ყვირლზე მოვედი აქ და კარგად ვიცი ვინ ვის შემდეგ არის მოსული!

— აბა, მე გეტყვით. თქვენ თუ დღეს მოხვედით, მე ორი დღეა დავდივარ ამ პატარა საბუთის გაფორმებისათვის...

— თუ სიარულზე წავიდა საქმე, მე ონტოფოდან ბერლინამდე ვიარე თოფის სროლითა და წინ კაცი არ გამიშვია, ახლაც ნურავის ექნება იმედი, ჩემზე წინ შევიდეს ნოტარიუსთან!

ტანმორჩილმა ახალგაზრდამ ჯერ შევეკრებინი კაცის მკერდზე ჩამოკიდულ მედლებს გახედა, მერე კარებთან გაჭიმულ რიგს და ნიწრამხდარმა უიმედოდ ჩაქინა ხელი.

ოთახში ღუმლია ჩამოიარა. უეცრად კარებთან მჯდარმა მოხუცმა ქსოვა შეწყვიტა, ცხვირის ნესტოები საეჭვოდ შეათამაშა, ღრმად ჩაისუნთქა, ამოისუნთქა, ისევ ჩაისუნთქა და შუახნის ქალთან მივიარა.

— თქვენ რისი სუნი შეიგრძენით, ქალბატონო?

— არაფრის, რაზე შემატყუებ?... — ნამდვილად დამწვარი რძის სუნია და გამიშვით ახლა...

— რა მოხდა, ქალბატონო?

— რძე დამრჩა გაზის ქურაზე.

— მერე რა მოხდა ასეთი, ახვალთ და გადმოდგამთ!

— საბურთალოს მასივში როდის ავალ, როდის?... — ამოიგმინა მოხუცებულმა და ქუჩაში ცუხცუხით გავარდა.

რიგი კუს ნაბიჯით მიიწევიდა წინ.

— ასე თუ გაგრძელდა, ჩვენ ხვალაც აქ მოგვიხდება მოხვლა.

მოღუტრად ჩაცმულმა ახალგაზრდა ქალმა ათიოდე წლის ბიჭუნას მუჭლეგუნის გაპკრა და ყურში ჩასაძახა:

— აეროპორტის საღარო დღეში მუშაობს 8 საათს, მოლარე თითო ბილეთის გაფორმებას უნდება ოც წუთს. ამოცანა გვეკითხება რამდენ კლიენტს მოემსახურება მოლარე დღის განმავლობაში?

ბიჭუნამ ცერა თითი ნიკაზე მიიბჯინა, თვალები კერს მიარჭო და უეცრად ამოისროლა:

— თორმეტს!

ახალგაზრდა ქალი წითელმანიკურებიანი თითებით ბიჭუნას ყურს წასწვდა და გაბოროტებულმა ჩაილაპარაკა:

— შტერი ხარ მამაშენივით, აგრემც ორივეს დაგყარეთ თორმეტი ნიჩაბი მიწა...

— ქალბატონო, არც გოგებაშვილი და არც მაკარენკო ამ მოქმედებას არ მოგწონებდნენ.

— ყველამ თავის თავს მოუაროს.

ოთახში ახლა უკვე იძულებითი სიჩუმე ჩამოვარდა. რიგის ბოლოში მდგარმა სათვლიანმა მამაკაცმა ხელის თითებით რაღაცა იანგარიშა, მერე ახალგაზრდა ქალთან მივიდა და თავი დახარა:


— უღრმესი მადლობა, ქალბატონო, კეთილი რჩევითა. მე რიგით ოცდამეჩვიდმეტე ვარ და თუ ნოტარიუსი თქვენი ამოცანის მიხედვით დღეში ოცდაათს კლიენტს გაუშვებს, სჯობია ხვალ ცისკრის ამოსვლისას მოვიდეთ, რომ ეს დასალუბი ქორწინების მოწმობა ხვალ მაინც შევამოწმებინო!

— შესვენება! — დაიძახა ვიღაცამ შიდა ოთახიდან. რიგი კი იჭიმებოდა სარეცხის თოკით.

3. გამუჟაღავილი

P. S.

ამ ბოლო დროს, თბილისის ზოგიერთ სანოტარიო კანტორაში შეინიშნება განუწყვეტელი რიგები. იკარგება დრო, იფლანგება სამუშაო საათები. მშრომელები სამართლიან საყვედურს გამოთქამენ აღნიშნული მდგომარეობის გამო.



ნახ. 0. შინაფილისა

უსიტყვოდ

გაბიულსარ ჩიტო. მახუი..

სამუშაოდან განთავისუფლება, მართალია, თავზარდამცემი იყო „ფეხსაცმელვაჭრობის“ თბილისის № 43 მაღაზიის უფროს გამყიდველ ბესო ხაიმაშვილისა და გამყიდველ ნანული ჟვანიასათვის, მაგრამ მათ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობიდან თავის დაპყრენის საკითხი უფრო აღარდებდათ.

სხვა დამაშავებელთა საქმე სასამართლომ განიხილა და ყველას თავისი მიუზღო. ბესო და ნანული, კი თავისუფალნი დარჩნენ პასუხისმგებლობიდანაც და სამსახურიდანაც...

შინ უსაქმოდ ყოფნას უსაქმოდ ჩალიჩი სჯობიაო, გაიფიქრა ნანული ჟვანიამ და თავში შესანიშნავი აზრი მოუვიდა: ბესო წინდახედული კაცია, არ შეიძლება შავი ღლისთვის ფული არ ჰქონდეს გადანახული, იქნებ ცოტა მაინც გამოგტყურო. ამ მიზნით სახლში მიაკითხა ბესო ხაიმაშვილს და მოულოდნელი ამბავი ამცნო:

— ცუდად არის ჩვენი საქმე, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობიდან რომ თავი „დავი-ძვრინეთ“, იმ საქმეს უკან აბრუნებენ და ჩვენს მიმართ გამოძიებას თავიდან იწყებენ. პატი-ზრობა არ აგვცდება!..

ამის გაგონებაზე ბესოს ეღლა ეცა, შუბლზე ცივმა ოფლმა დასხა და ნირწამბდარმა ძლივს წაილულღულა — რა გვეშველებაო.

— საგამომძიებლო ორგანოში კაცი მყავს, რომელსაც შეუძლია ჩვენი ხსნა. მე მასთან ჩემი საქმე თითქმის მოვაგვარე, ახლა შენი დარდი მაქვს. ვერ მოვიხსენებ, შენ რომ დაისაჯო და მე შორიდან გიყურო, — იმედიანად არწმუნებდა ნანული სადარღებელში ჩავარდნილ ბესოს, თან ამშვილებდა.

— როგორ მოვიქცეთ, რა ვიღონოთ?! — წამოიძახა ბესომ.

— ფულია საჭირო, ფული! — მტკიცედ უთხრა ნანულიმ.

— რამდენს თხოვლობენ?

— ათი ათასია საჭირო!

— ამდენი ფული სად ვიშოვო უმუშევარმა კაცმა? — შეწუხდა ბესო.

— „საპერდაჩოდ“ რომ გავიხდებო საქმე, მერე იშოვი? — შეაშინა ქალმა.

ბესომ, ჯერ დათქმული თანხის ნახევარი ჩაუჯიბა „მხსნელს“, შემდეგ ოთხი ათასი მანეთი მიუტანა, ბოლოს — კიდევ რვაასი და თან მიუბოდიშა — ორასსაც როგორმე ვიშოვი და მოგართმევო.

მაგრამ, ერთ ღღეს, ქალბატონ ნანულის მოულოდნელად კარზე უცხო სტუმრები მიად-გნენ. სამწუხაროდ, სტუმართა ვიზიტი მისი დაკავებით დამთავრდა...

3. ხმალაპე



ნახ. 8. აბაშიძისა

„ძალა ცნობისმოყვარეობისა“ — ასე-თი სათაურით ყურნალ „ნიანგის“ მიმ-დინარე წლის მე-8 ნომერში დაბეჭდილ წერილში მხილებული იყო ვაჭრობის წესების დარღვევის ფაქტები მარნეუ-ლის რაისამომხმარებლო კავშირის კო-ოპუნივერმალის № 2 მაღაზიაში.

მარნეულის რაისამომხმარებლო კავ-შირის გამგეობამ მდგომარეობის გამო-სასწორებლად გაატარა შემდეგი ღონის-ძიებანი: რაისამომხმარებლო კავშირის კოოპუნივერმალის № 2 მაღაზიის დირექტორს გ. ცაციაშვილს უკონტრო-ლობისათვის გამოეცხადა სასტიკი საყ-ვედური, გამყიდველ გ. კალაევას დე-ფიციტური სამრეწველო საქონლის გა-დაძალვისა და სხვა დარღვევებისათვის გამოეცხადა სასტიკი საყვედური და პი-რობით იქნა დატოვებული სამუშაოზე.

მარნეულის რაისამომხმარებლო კავ-შირის კოოპუნივერმალის დირექციას დაევალა გაატაროს კონკრეტული ღო-ნისძიებანი საქონლის გადაძალვის, ვაჭ-რობის ტექნოლოგიისა და წესების დარღვევის ფაქტების გამოსავლენად და აღსაკვეთად.

ჩვენს სოფელში არ არის აფთიაქი, ზაყოფაცხოვრებო მომსახურების არც ერთი ობიექტი, საფოსტო ყუთი, არა გვყავს ექიმი, პარიკმახერი, ცუდად გვამარაგებენ ნავთით და გაზით, შეუ-კეთებელია შიდა სასოფლო-სამაჩანო გზები. — წერდნენ რედაქციას ცაგერის რაიონის სოფლების ისუნდრისა და მა-ხურას მშრომელები.

სახალხო დეპუტატების ცაგერის რაი-საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. დ. სვანიძემ რედაქციას მოსწერა, რომ წერილში აღნიშნული ფაქტები ძირი-თადად სინამდვილის შეეფერება. ზოგი-ერთი რამ უკვე მოგვარდა: გაიხსნა მზა წამლების გასაყიდი კიოსკი, დაიდგა საფოსტო ყუთები, მოწესრიგდა გაზით, ნავთით და პურის ფქვილით მომარა-გების საქმე, შემოწმდა გაზქურების მდგომარეობა.

რაიონის მთავარ ექიმს ამხ. ბ. ლარ-ცულიანს დაევალა მუდმივად მომუშავე ექიმის დანიშვნამდე (რაიონს აკლია 21 ექიმი) რაიონის საავადმყოფოდან მო-რიგეობით მიავლინოს ექიმები ზუბის საექიმო უბანში;

რაიკოოპერატივის გამგეობის თავმჯ-დომარეს ამხ. რ. ახვლედიანს დაევალა გააუმჯობესოს მოსახლეობის სავაჭრო მომსახურება, განსაკუთრებული ყურად-ღება დაუთმოს სოფლის მოსახლეობის სურსათით მომარაგების საქმეს;

ზუბის სასოფლო საბჭოს აღმასკომს, უსახელაურის საბჭოთა მეურნეობის დირექტორს და რაისაწარმოო-სავაზო უბნის ხელმძღვანელობას დაევალოთ წესრიგში მოიყვანონ სოფლების შიდა სასოფლო-სამაჩანო გზები.

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის რასისტული მმართველები, რომლებიც იცავენ სამხრეთ აფრიკაში იმპერიალიზმის უკანასკნელ ბასტიონებს; ცლილობენ როდუზიასა და ნამიბიაში შექმნან მათი მორჩილი რეჟიმები, შავნიანი მარიონეტების მეთაურობით.






ნახ. გ. ლომიძისა

„თოჯინები იცინიან“

უცხოური იუმორი

- თქვენი ქალიშვილის ხელს გთხოვთ, მისტერ ჯიმ, წინააღმდეგი ხომ არა ხართ?
- არა, მხოლოდ ის ხელი წაიღეთ, ერთთავად ჩემს ჯიბეში რომ აქვს ჩაყოფილი.
- ჩემს ცოლს ბეწვი ჩაუვარდა თვალში და იმის მორჩენა 30 დოლარი დაგიკდა.
- უგ რა არის?! ჩემს ცოლს ბეწვის ქურჭი ჩაუვარდა თვალში და 30 ათასი დოლარი დაგიკდა!
- : — : —
- ექიმი ეუბნება პაციენტს:
- დრო ყველაფრის მკურნალია!
- კი მაგრამ, საბოლოო ჯამში, მაინცდამაინც კარგი სპეციალისტი ვერა ბრძანდება!
- : — : —
- მხატვარი თავის ახალ ნამუშევარს უჩვენებს მეგობარს.
- აბსტრაქტულ ხელოვნებას თავი დაანებე! აი, ჩემი რეალისტური ტილო, — „მეტ-ნიერული მუშაობა“.
- კი მაგრამ, ესენიც აქ არაფერს აკეთებენ.
- სწორედ მაგაშია რეალიზმი.
- თარგმნა ზ. ბ.
- * * *
- აფთიაქარი ზაგარატი წიგნების მაღაზიაში ნაცნობ გამყიდველს აჯა-მახმადს ერთ-ერთი წიგნის შესახებ შეეკითხა:
- კარგი წიგნია?
- არ ვიცი, არ წამიკითხავს! — უპასუხა აჯა-მახმადმა.
- მაშ, როგორ ყიდი წიგნს, რომელიც თვითონ არ წამიკითხავს?
- შენ რა, გასაყიდ წამლებს თვითონ სინჯავ? — მიუგო აჯა-მახმადმა.
- თარგმნა მიხეილ ლოლუა



514 79
7. VIII



უსიტყვოდ

მთავარი რედაქტორი **ზურაბ გეგაზუაშვილი** სახელაპყრო კოლეგია: **ზ. ბოლქვაძე** (მთ. რედ. მოადგილე) **ზ. კაციავაშვილი**, **ჯ. ლოლუა**, **გ. ლომიძე**, **ნ. მაღალაშვილი** (მხატვ. რედ.), **ბ. ნიუნიაიძე**, **ბ. სინარულიძე** (პ/მგ. მდივანი), **ბ. ვირცხვალი**, **ო. ხალიძე**
 ● ტექნიკური რედაქტორი **მ. კახალაშვილი**, ● საბირისა და იუმორის შუახალი „ნიანგი“. ● თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 42, საქართველოს კ. ც. -ის გამომცემლობა, გადაეცა ასაწყობად 5/VI-79 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 10/VII-79 წ. ქაღალდის ზომა 70x108¹/₈ ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 2. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1.7 ● საქართველოს კ. ც. -ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის 4 14. ● შეკვ. 1657 უი 00754 ტირ. 144.000 ტბილისი, პრ. რუსთაველი № 42, Сатирико-юмористический журнал «Нянгя», ● Издательство ЦК КП Грузии. ● Типография Издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина № 14.
 ტელეფონები: 99-76-69, 93-19-42, 93-10-78, 93-49-32. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ნახტი თქვენს ავტორებში: მ. აბაშიძე, ბ. ბახტაძე, მ. დეიხან, დ. თოთიბაძე, ვ. კუცია, გ. ლომიძე, მ. მჭედლიშვილი, გ. ფირცხვალი, ვ. ი. ცინცაძე, ი. უჩინაშვილი.